**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მთისპირის მაჟორიტარი დეპუტატის ვლადიმერ ჩავლეშვილი 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში**

წინამდებარე ანგარიში შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად და იგი მოიცავს პერიოდს 2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ვეყრდნობოდი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით საკრებულოს წევრისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს წარდგინებით მივიღე მონაწილეობა ,სადაც გავიმარჯვე 56 % -ით და გავხდი საკრებულოს წევრი სოფელ მთისპირის ადმინისტრაციული ერთეულიდან.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვანხორციელებდი საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიებში. 1.სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის. 2). აგრარულ საკითხთა და ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების საკითხების. ამავდროულად ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს წევრი.

სულ საანგარიშო პერიოდში მივიღე მონაწილეობა საკრებულოს როგორც რიგით ასევე რიგგარეშე სხდომებში 19-ჯერ, დავესწარი კომისიების სხდომებს 38-ჯერ და ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" 12 სხდომას.

მონაწილეობა მივიღე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებში, სულ 2 შეხვედრაში.

როგორც საკრებულოს წევრს შეხვედრები მქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან) ადმინისტრაციულ შენობაში, ასევე გასვლითი სულ: 47 - მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და ინფრასტრუქტურას.

ჩემს მიერ როგორც საკრებულოში ასევე მუნიციპალიტეტის მერიაში დაყენებული იქნა სოფლის პრობლემები რომელთა უმეტესი ნაწილი გადაწყდა დადებითად და ნაწილი პროექტებისა გათვალისწინებული არის მიმდინარე წლისთვის.კერძოდ:

სოფლის შიდა და მუნიციპალიტეტის ცენტრთან დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაცია;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანადგომით სოფელში ბეტონის საფარით მოეწყო შიდა გზები სულ 480 მ.

აგრეთვე შ.პ.ს „ასკანგელ-ჯგუფი"-ს თანადგომით მოიხრეშა დაახლოებით 3000 მეტრამდე სოფლის შიდა გზა და გაფართოვდა გარე განათების ქსელი.

სოფელში ნაწილობრივ შეკეთებული და აღდგენილი იქნა სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავები, ნაწილობრივ აღდეგენილი იქნა სასაფლაოებთან მისასვლელი გზები.

მეწყერ საშიში ზონიდან გასახლებული იქნა ორი ოჯახი და შესაბამისად საქართველოს მთავრობის მიერ ორივე ოჯახზე შეძენილი იქნა მათ მიერ შერჩეული საცხოვრებელი სახლები.

სოფლის სასმელი წყლით უზრუნველყოფის საკითხი რომელიც ჩემს მიერ დაყენებული იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ა.(ა).ი.პ „სატის“-ში მიღწეული იქნა შეთანხმება რომლის რეაბილიტაცია დაიწყება მიმდინარე წელს:

აქტიურად ვმონაწილეობდი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019-2020 წლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემის და მიღების წესის,სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და დაჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშწყობის განსახორცილებელად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესის კორექტირებასა და დაზუსტების, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის განხილვა დამტკიცებაში

კურიორტ გომისმთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის დასამტკიცებლად დაკავშირებული ღონისძიებების შემუშავებაში;

აქტიურად ვიყავი ჩართული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობა ჩატარებაში: მადლობა მინდა გადავუხადო თანადგომისათვის საქართველოს პარლამენტის წევრს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატს ბატონ არჩილ თალაკვაძეს რომლის მიერ სოფლის ახალგაზრდობისათვის გადმოცემული იქნა მინი სტადიონის მოწყობისათვის საჭირო ინვენტარი. აგრეთვე ერთ-ერთ უბანში მოეწყო გარე განათება.

მე როგორც საკრებულოს წევრი გავაგრძელებ აქტიურ მუშაობას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატთან, საკრებულოსთან,მუნიციპალიტეტის მერიასთან და სოფლის ამომრჩევლებთან. რათა 2019 წელი უფრო წარმატებული გახდეს სოფლისთვის.

და ბოლოს მადლობა მინდა გადავუხადო საკრებულოს მთლიან შემადგენლობას და საკრებულოს აპარატს

**საკრებულოს წევრი**
**მაჟორიტარი დეპუტატი**
**ვლადიმერ ჩავლეშვილი**
**31.01.2019 წ**